

ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის
N23 ბინაზე, მოქალაქე ჰამლეტ აფრილონიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ჰამლეტ აფრილონიძის წარმომადგენლის ნათია ძოძუაშვილის განცხადება /2010 წლის 03.12 N1607/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N23 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჰამლეტ აფრილონიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, მაისურადის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე /საერთო ფართობი 47,08 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,35 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,73 კვ.მ./, მოქალაქე ჰამლეტ აფრილონიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ.ანდლულაძე